

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N13

ქ. ლანჩხუთი

18 ივლისი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

სხდომას არ ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელ გიორგი გოგუაძის პოლონეთის რესპუბლიკაში ვიზიტთან დაკავშირებით ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. გოგუაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ღლონტისაგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ნ. ღლონტი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ზ. ქავზინაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ზ. ქავზინაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ზ. ქავჭავაძე/

## 6. სხვადასხვა.

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინიძე კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

### **მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს მ/წ 27 ივლისი.

2. საკრებულოს მორიგი რიგგარეშე სხდომის თარიღად განისაზღვროს მ/წ 29 ივლისი

### **მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელ გიორგი გოგუაძის პოლონეთის რესპუბლიკაში ვიზიტთან დაკავშირებით ანგარიში“ სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გოგუაძემ. მან ისაუბრა სვიეტოკსის სავოევოდოს ქ. კელცეს საგანგებო სიტუაციების მართვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტში 2011 წლის 4-15 ივლისს ჩატარებული სტაჟირების თაობაზე. მანვე განმარტა, რომ აღნიშნული სტაჟირება ითვალისწინებდა ქ. კელცეს მერიის და მერიის საგანგებო სიტუაციების მართვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელთა და საორგანიზაციო სტრუქტურის გაცნობას. აგრეთვე პოტენციური საფრთხეების დახასიათებასა და მათი გამოვლენის რისკის შეფასებას და გურიის რეგიონში პრობლემებისადმი მიდგომის შედარებას.

კრიზისების მართვის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებისა, წყალდიდობის დროს სამაშველო ოპერაციების სპეციფიკის გაცნობას. ასევე შესწავლილი იქნა სახელმწიფო-სახანძრო სათავო შტაბის თანამშრომლობის სისტემა, განხილულ იქნა კრიზისული სიტუაციების დროს ურთიერთქმედებების საფუძვლები, ერთობლივი პატრულირება, პრაქტიკული პრევენტაციები. გაანალიზებულ იქნა კრიზისული სიტუაციების დროს მუნიციპალური პოლიციის როლი მოსახლეობის დახმარებაში (ერთობლივი პატრულირება, მორიგეობა), მოხდა გამოცდილების გაზიარება საქართველოში ამ კუთხით შემდგომი ჩასატარებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში ბიუროს წევრების მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ლლონტისაგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში შესახებ“ საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსმა ზაზა ქავზინაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 1 სექტემბრის N33 ბრძანების საფუძველზე შექმნილი მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

ინვენტარიზაცია დაიწყო 2010 წლის 6 სექტემბერს და დამთავრდა 2011 წლის 17 თებერვალს. ინვენტარიზაცია ჩატარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში რიცხულ მატერიალურ ფასეულობებს.

2010 წლის 1 სექტემბერის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა ძირითადი და მცირე ფასიანი მატერიალური ფასეულობები **1299267.693** ლარის ოდენობით. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ბალანსზე ირიცხება **1299267.693** ლარის მატერიალური ფასეულობები. სხვაობამ დანაკლისის სახით შეადგინა 0 ლარი. (ადმინისტრაციული ერთეულების ქონების ინვენტარიზაციის აქტები თან ერთვის).

2006 წლის თვითმმართველობის ლიკვიდაციის შემდეგ მათ ბალანსზე რიცხული ქონება, როგორც სამართალ მემკვიდრეს, გადმოეცა მუნიციპალიტეტს. მას შემდეგ ამორტიზირებული ერთეულებში დაგროვდა დიდი რაოდენობით ამორტიზირებული

ქონება. მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა გამოსაყენებლად უვარგისი და ამორტიზირებული მატერიალური ფასეულობები თანხით **72890.57** ლარის. აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განხილულ იქნას საკითხი მისი ჩამოწერის შესახებ (ჩამოსაწერი მატერიალურ ფასეულობათა ჩამონათვალი მოცემულია აქტებში).

კომისია აღნიშნავს, რომ თვითმმართველი ერთეულების ლიკვიდაციის შედეგად გადმოცემულ მატერიალურ ფასეულობებში აღრიცხულია საჯარო სკოლების სარეგბლობაში არსებული დიდი რაოდენობით მატერიალური ფასეულობები, რომლის აღრიცხვიანობაში არის გაურკვეველი მდგომარეობა, ამდენად კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ რესურსცენტრთან ერთად განხილულ და მომზადებული იქნას წინადადება განათლების სამინისტროს წინაშე მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის და შემდგომი განკარგვის თაობაზე.

კომისიას მიაჩნია, რომ სამართალმემკვიდრეობით მიღებული ისეთი ქონება, როგორცაა ქარსაფარი ზოლი, ჩაის, ტუნგოს, თუთის და დაფნის პლანტაციები მიწის რეფორმიდან გამომდინარე არ უნდა ირიცხებოდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე. ამდენად მიზანშეწონილია განხილულ იქნას, მისი მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ამოღების საკითხი.

მთლიანი მუნიციპალური ქონების სრული და ზუსტი აღრიცხვისათვის აუცილებელია:

1. საინვენტარიზაციო კომისიამ, მ/წ 2011 წელს ეტაპობრივად ჩაატაროს:
  - ა) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია.
  - ბ) 2006 წელს თვითმმართველობების ლიკვიდაციის შემდეგ თვითმმართველი ერთეულებიდან სამართალმემკვიდრეობით მიღებული კულტურის და სკოლამდელი აღზრდის სისტემებში რიცხული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.
2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შ.პ.ს. და ა.(ა).ი.პ ორგანიზაციებს მათ სარეგბლობაში არსებული უძრავი ქონების და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია
3. ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და ა.(ა).ი.პ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრმა მოახდინოს შესაბამისად საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ფონდების ინვენტარიზაცია.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს.

### **მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსმა ზაზა ქავზინაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველის ქონების შესახებ“ მე-13 მუხლის შესაბამისად უნდა გასხვისდეს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული:

ა) სოფ. გვიმბალაურში მდებარე 339 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ყოფილი ავტოგასამართი სადგური, საკადასტრო კოდი 27.08.47.017).

ბ) სოფ. ნიგოთში მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 27.04.51.023)

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (გ. ორაგველიძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/ წ 29 ივლისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსი ზაზა ქავზინაძე

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

### **მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსმა ზაზა ქავზინაძემ. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა დამტკიცდეს საპრივატიზებოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონება. კერძოდ,

ა) სოფ. გვიმბალაურში მდებარე 339 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ყოფილი ავტოგასამართი სადგური, საკადასტრო კოდი 27.08.47.017).

ბ) სოფ. ნიგოთში მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 27.04.51.023)

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (გ. ორაგველიძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/წ 29 ივლისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსი ზაზა ქავზინაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ზაზა ქავჭინაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე ლანჩხუთის რაიონული განყოფილების შენობის მიმდებარე სკვერის მოსაწყობად ესაჭიროება დამატებით 25 კვ.მ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემა.

„თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 პრიმა მუხლის პირველი პუნქტის თანახმად თვითმმართველი ერთეული ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას, ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. ამავე კანონის მე-19/5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „თვითმმართველი ერთეულის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზურფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცემს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, აგრეთვე თვითმმართველი ერთეული 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო 25 კვ.მ. დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო კოდი 27.06.51.048).

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (გ. ორაგველიძე)

2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.



3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას მ/ წ 29 ივლისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსი ზაზა ქავზინაძე

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

2) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნინო ძიძიგური) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

3) საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა უზრუნველყოს პროექტების განხილვა და დასკვნების წარმოდგენა 2011 წლის 27 ივლისამდე.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტაძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნ. ძიძიგური

თანაშემწე:

დ.დოლიძე

შემსრულებელი:

საკრებულოს აპარატის მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

მ. კველიძე